

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ ე პ ჯ “

412672264

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება ზარალის ანგარიშგება

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფინანსური შედეგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		704212	668449
არამატერიალური აქტივები		13411	12019
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში		109440	
სულ		827063	680468
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		685603	565425
სავაჭრო და გადახდილი ავანსები		440452	542202
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		2416496	1434293
დარიცხული მოთხოვნები		16320	0
სხვა აქტივები		82703	184487
სულ		3641574	2726407
მთლიანი აქტივები		4468637	3406875
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		745690	745690
საემისიო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება		1365991	985620
სულ		2111681	1731310
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		1624558	1219487
სულ		1624558	1219487
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		732398	421457
ვალდებულებებს და ხარჯების ანარიცხები			34621
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები			
სულ		732398	456078
მთლიანი ვალდებულებები		2356956	1675565
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4468637	3406875

შპს „ეპჯ“ დირექტორი:

/ი.არჩვაძე/



სრული შემოსავლი სანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები		4487909	5247919
თვითღირებულება		-3490725	-4575862
საერთო მოგება		997184	672057
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		-292701	-204588
საოპერაციო მოგება		704483	467469
ფინანსური ხარჯი		-74671	-36552
მოგება დაბეგვრამდე		629812	430917
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-230177	0
მოგების გადასახადის ხარჯი		-3475	0
წმინდა მოგება		396160	430917

შპს „ეპჯ“ დირექტორი: ✓

/ი.არჩვაძე/



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	თანხის შემოტანა	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 01 იანვარი	1261690		203120	1464810
ცვლილება კაპიტალში		74000		74000
კაპიტალის შემცირება	-170000			-170000
წმინდა მოგება			351583	351583
2018 წლის 31 დეკემბერი	1091690	74000	554703	1720393
წმინდა მოგება			430917	430917
კაპიტალის შემცირება	-420000			-420000
2019 წლის 31 დეკემბერი	671690	0	430917	1731310
წმინდა მოგება			396160	396160
გაუნაწილებელი მოგების შემცირება			-15789	-15789
2020 წლის 31 დეკემბერი			380371	2111681

შპს „ეპჯ“ დირექტორი: ✓

/ი.არჩვაძე/



ფულადი ნაკადების სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ფულადინაკადებისაოპერაციოსაქმიანობიდან		
მყიდველებიდანმიღებულიფულადისახსრები	4256557	6192444
მიღებულიპროცენტები		
მომწოდებლებზეგადახდილიფულადისახსრები	-3256159	-4440834
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	-336503	-471657
თანამშრომლებისთვისგადახდილიფულადისახსრები	-75613	-31800
გადახდილი გადასახადები	-632548	-983409
გადახდილი პროცენტები	-74671	-36551
მიღებული ავანსები	2269	2269
წმინდაფულადინაკადებისაოპერაციოსაქმიანობიდან	-116668	230562
ფულადინაკადებისაინვესტიციოსაქმიანობიდან		
ძირითადისაშუალეობისშეძენასადაშექმნაშიგადახდილიფულადისახსრები	-59694	-730006
შვილობილ საწარმოში გადახდილი თანხები	-109440	66500
წმინდაფულადინაკადებისაინვესტიციოსაქმიანობიდან	-169134	-663506
ფულადინაკადებისაფინანსოსაქმიანობიდან		
კაპიტალის შემცირება		-420000
სესხის მიღება	1020920	1328408
სესხის დაფარვა	-615148	-182121
გადახდილი დივიდენდი	-790	
გაცემული სესხი		
გრანტის სახით მიღებული დაფინანსება		
წმინდა ფულადი ნაკადები	405982	726287
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტებისა ზრდა (კლება)		
	120178	293343
ფულადისახსრებისნაშთიწლისდასაწყისში		
	565425	272082
ფულადისახსრებიწლისბოლოს		
	685603	565425

1. ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „ეპჯ“-სთვის შენიშვნა 2-ში მითითებული მომზადების საფუძვლების შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ეპჯ“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რეგისტრირებულია 2010 წელს, ს/კ 412672264 საწარმოს იურიდიული მისამართია, საქართველო, ქუთაისი, ახალგაზრდობის 84/24

შპს „100%“-ს წილის მფლობელია ირაკლი არჩვაძე

ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი.

საწარმო საქართველოში ახორციელებს ვაჭრობას იმპორტირებული ავტომობილების ნაწილებით და

აქსესუარებით

ავტომობილების ტექნიკური მომსახურებას და რემონტს.

2. მომზადების საფუძველი

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების სწული პაკეტი მოიცავს 2020 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2020 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, ასევე შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და 2019 წლის შესადარის ინფორმაციას.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდალურ წელს. წლიური სპეციალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

საწარმო სპეციალურ ფინანსურ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, ამზადებს დარიცხვის მეთოდით. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სააღრიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების

ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად საწარმო იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

აღნიშნული ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შეძენის ფაქტიური ღირებულების საფუძველზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღების თანხით. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება, როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ბარალის აღიარება მოგებაში ან ბარალში

.სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ბარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

საწარმო ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

ბანკის სესხები და გარანტიები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ბარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

სასაქონლო- მატერიალური ფასეულობები

საწარმო მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით,

რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ

დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები ხორციელდება ფაქტიური ღირებულებით, ბარალის ანაზღაურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარი გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა აისახება აქტივის მიმდინარესაბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც საწარმომ მიიღო კონტროლი აქტივებზე დასავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემასაწარმოს. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვითება მოგება-ბარალიდან, როდესაც ხდება წინასწარი გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ წინასწარ გადახდილი აქტივების, საქონელის ან მომსახურების მიღება არ მოხდება, შესაბამისი გაუფასურების ბარალი აისახება მოგებაში ან ბარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ბარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული

თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი პერიოდები:

➤ შენობა-ნაგებობები- 10-30წ
➤ მანქანა-დანადგარები - 5-25 წ
➤ ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5-10 წ
➤ სატრანსპორტო საშუალებები - 10 წ
➤ ოფისის აღჭურვილობა - 5 -10 წ

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი განწევისთანავე.

საწესდებო კაპიტალი

საწარმოს დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება დირექტორის გადანწყვეტილებით.

ამონაგები

ამონაგები მზა პროდუქციისა და საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი (პროდუქცია) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

თუ შესაძლებელია მომსახურების განწევის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

თუ პრაქტიკულად მომსახურების განწევა ხდება მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების განწევის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებს.

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, საგადასახადო კონტროლი ხორციელდება ჯგუფურ (ნაერთ) საგადასახადო დავალიანებაზე, ამიტომ საწარმო საგადასახადო მოთხოვნებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა

4. ძირითადი საშუალებები

2020 წლის საბალანსო ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მინა	დუმთ	შენიშნა	არმატერ	მანქანა დან	ოფისი	ტრანსპ	სულ
31,12,2019	27000	230177	390490	12019	0	16778	6400	682864
მიღება	0	0	246815	3602	890	12481	26000	289788
გასვლ		-230177						-230177
31,12,2020	27000	0	637305	15621	890	29259	32400	742475
დგრცვეთ 31,12,2019						-496	-1896	-2392
ცვეთ	0	0	-7648	-2210	-133	-6368	-6100.6	-22459.6
ნაშთ	27000	0	629657	13411	757	22395	24403.4	717623.4

5. ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

საწარმოს 2020 წლის ფულადი სახსრები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაღდი ფული სალაროში	397809	504986
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	49482	9343
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	238312	51096
სულ	685603	565425

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები	16320	80566
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	440452	461636
საბაჟოსთვის გადახდილი ავანსები	82703	180630
სხვა მოთხოვნები		
სულ	539475	722832

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2020	2019
საქონელი	2405455	1434293
ნედლეული და მასალები	0	0
მზა პროდუქცია	0	0
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	11041	3857
სულ	2416496	1438150

საწარმო მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას. მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 3490725 ლარი.

8. გრძელვადიანი სესხები

საწარმოს თბს ბანკიდან აღებული აქვს სესხი ევროში და რომლის ნაშთი 31.12.2021 წლისთვის შეადგენს 1624558 ლარს

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2020	2019
მოწ. წარმოქმნილი ვალდებულებები	695735	421457
მოწ და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	36663	32352
მიღებული ავანსები	0	2269
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0
სულ	732398	456078

10. ამონაგები

საწარმოს მთლიანმა ამონაგებმა 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის შეადგინა 629812 ლარი. ამონაგები იმპორტირებული ავტონაწილების ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავალია

ნეტო ამონაგები შეადგენს 4508655 ლარს რომელიც მოიცავს 4136630 ლარს რაც საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალია, 20745 ლარი საიჯარო შემოსავალი

230177 ლარი ძირითადი საშუალების ექსპლოატაციაში მიღება, 77364 ლარი ექსპორტით გატანილი საქონელი, 1344 ლარი დიპლომატიურ კორპუსზე მიყდული საქონელი, 8793 საშემოსავლო, 12675 კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(75613)	(31800)
სოციალური დანარიცხები	(1392)	(636)
კომუნიკაციის ხარჯები	(1933)	(1890)
იჯარის ხარჯი	(92695)	(97092)
პროცენტის ხარჯი	(74671)	(1356)
ცვეთა და ამორტიზაცია	(22460)	(616)
კომუნალური მომსახურება	(4183)	(4101)
სხვა საერთო ხარჯი	(94425)	(67097)
სულ	(367372)	(204588)

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 23 სექტემბერი.